რეინტეგრაციის გზამკვლევი დაბრუნებული მიგრანტებისთვის

ბროშურა მოამზადა და გამოსცა სამოქალაქო განვითარების სააგენტომ (სიდა) და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს (GPAM) - ფარგლებში და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოსთან თანამშრომლობით.

ბიზნესის კეთება

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა ყველა ისეთი მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიღების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად. თუ სუბიექტი ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, მისი რეგისტრაცია სავალდებულოა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

გაითვალისწინეთ!

სამეწარმეო საქმიანობად არ ითვლება ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა), სასოფლო-სამეურნეო, ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა.

სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო წარმოებები შეიძლება მიჩნეულ იქნეს სამეწარმეო საქმიანობად, თუ მოხდება მათი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაცია (რეგისტრაცია სავალდებულოა, თუ წარმოებაში მუდმივად დასაქმებულია მფლობელის ოჯახის არაწევრი ხუთი პირი მაინც).

მეწარმე სუბიექტები არიან: ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) და კოოპერატივი.

ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციისთვის აუცილებელია:

- განცხადება (ივსება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოპერატორის მიერ);
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის, პასპორტის, ბინადრობის მოწმობის ან სხვა) ასლი;

- სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მეწარმე იურიდიული პირის რეგისტრაციისათვის აუცილებელია:

- განცხადება;
- დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის, პასპორტის, ბინადრობის მოწმობის ან სხვა) ასლი;
- საწარმოს ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სათანადო წესით დამოწმებული სარეგისტრაციო განაცხადი (წესდება/პარტნიორთა შეთანხმება);
- უძრავი ნივთის მესაკუთრის სათანადო ფორმით შედგენილი თანხმობა, ან უძრავ ნივთზე დაინტერესებული პირის სარგებლობის უფლების დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი დოკუმენტი;
- სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

რეგისტრაციის ვადები და საფასურები:

სამართლებრივი ფორმა	მომსახურების ვადები	საფასური
ინდივიდუალური მეწარმე	1 სამუშაო დღეში (ჩვეულებრივი)	20 ლარი
ინდივიდუალური მეწარმე	იმავე დღეს (დაჩქარებული)	50 ლარი
• შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) • სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) • კოოპერატივი • სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს) • კომანდიტური საზოგადოება (კს)	1 სამუშაო დღეში (ჩვეულებრივი)	100 ლარი
• შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) • სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) • კოოპერატივი • სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს) • კომანდიტური საზოგადოება (კს)	იმავე დღეს (დაჩქარებული)	200 ლარი

გაითვალისწინეთ!

ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და სრულდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ ვადის ბოლო დღეს წარმოადგენს მომდევნო სამუშაო დღე.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სათაო და რეგიონულ ოფისებს.

სათაო ოფისის მისამართი: ქ. თბილისი, წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. №2
კონსულტაციის გაცემა რეგისტრაციებთან დაკავშირებით შესაძლებელია სსიპ - იუსტიციის სახლის მეშვეობითაც.
ტელ.: (+995 32) 2 25 15 28; (+995 32) 2 40 54 05
ელ-ფოსტა: info@napr.gov.ge

ინდივიდუალური მეწარმე

ინდივიდუალური მეწარმე არის ფიზიკური პირი.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის ერთი ან რამდენიმე პირის მიერ დაფუძნებული მეწარმე იურიდიული პირი, რომლის კაპიტალი გამოხატულია წილებით და პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მხოლოდ საზოგადოების ქონებით.

მეწარმე სუბიექტის წარმოშობის მომენტი

მეწარმე სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მისი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. რეგისტრაცია მოიცავს, როგორც სახელმწიფო, ისე საგადასახადო რეგისტრაციას.

საგადასახადო ელექტრონული პორტალი

სამეწარმეო საქმიანობისას მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს ელექტრონულ საგადასახადო პორტალს (www.rs.ge). ელექტრონული მომსახურებით სარგებლობისათვის საჭიროა შემოსავლების სამსახურში ერთჯერადად რეგისტრაცია, რის საფუძველზეც თითოეულ გადამხდელს ენიჭება სისტემაში შესვლის ინდივიდუალური, დაცული პაროლი. ელექტრონული მომსახურების სერვისით სარგებლობის შემთხვევაში, თქვენ საშუალება გეძლევათ სასურველი მომსახურება მიიღოთ შემოსავლების სამსახურში მისვლის გარეშეც.

ელექტრონული პორტალის მეშვეობით შეგიძლიათ:

- საგადასახადო დეკლარაციების წარდგენა, წარდგენილი დეკლარაციების დათვალიერება და ამობეჭდვა;
- ელექტრონულად სასაქონლო ზედნადების გაგზავნა-მიღება და ამობეჭდვა;
- ელექტრონულად ანგარიშ-ფაქტურების გაგზავნა-მიღება და ამობეჭდვა;
- ნებისმიერ დროს გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათისა და ბიუჯეტთან ანგარიშსწორების აქტის დათვალიერება;
- წარდგენილი დეკლარაციებით დეკლარირებული, დარიცხული გადასახადების ელექტრონულად გადახდა;
- საგადასახადო კოდექსის მუხლების ვიდეო განმარტებების ნახვა;
- 150-მდე ტიპის განცხადების წარდგენა და შესაბამისი ინფორმაციის/ცნობის მიღება ელექტრონულად.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ შემოსავლების სამსახურის სერვის ცენტრებს, ან დარეკეთ შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო სატელეფონო ცენტრში - (+995 32) 2 29 92 99.
ელ-ფოსტა: info@rs.ge

გადასახადები

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ქვეყანაში ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადებია:

- საშემოსავლო გადასახადი;
- მოგების გადასახადი;
- დამატებული ღირებულების გადასახადი;
- აქციზის გადასახადი;
- იმპორტის გადასახადი;
- ქონების გადასახადი.

საშემოსავლო გადასახადი

საშემოსავლო გადასახადის გადამხდელია:

ა) რეზიდენტი არის (საქართველოში მცხოვრები) ფიზიკური პირი (მათ შორის ინდივიდუალური მეწარმე); რომელიც ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 183 დღე, ან მეტ ხანს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის პერიოდში;
ბ) არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

საშემოსავლო გადასახადის განაკვეთია 20%, რომელიც იანგარიშება დასაბეგრი შემოსავლიდან.

საშემოსავლო გადასახადით სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები ვრცელდება:

ა) მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებზე;
ბ) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირებზე;
გ) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირებზე.

მიკრო მეწარმე

მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, საიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30,000 ლარს.

მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი არ იხდის საშემოსავლო გადასახადს. გარდა ამისა, გათავისუფლებულია საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულებისაგან.

მცირე მეწარმე

მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100,000 ლარს.

მცირე მეწარმის ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 5 პროცენტით. თუ მცირე მეწარმეს აქვს ერთობლივი შემოსავლიდან 60 პროცენტის ოდენობის ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტი (გარდა დაქირავებულზე დარიცხული ხელფასის ხარჯისა), ამ შემთხვევაში მცირე ბიზნესი იბეგრება 3 პროცენტით.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი შეიძლება იყოს პირი, რომელიც არ არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი და ახორციელებს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ ერთ ან ერთზე მეტ საქმიანობას.

ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის სახეები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

ფიქსირებული გადასახადის განაკვეთი საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის სახეების მიხედვით შეიძლება იყოს:

ა) დაბეგვრის ობიექტზე – 1 ლარიდან 2,000 ლარის ფარგლებში;
ბ) დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 3 პროცენტი.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირი გათავისუფლებულია საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულებისგან.

მოგების გადასახადი

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მოგების გადასახადის გადამხდელია:

ა) რეზიდენტი საწარმო;
ბ) არარეზიდენტი საწარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდ
ან;
გ) ამხანაგობა, ან სხვა ანალოგიური წარმონაქმნი, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას.

საწარმოს დასაბეგრი მოგება იბეგრება 15 პროცენტით.

დამატებული ღირებულების გადასახადი

მეწარმე პირი დამატებული ღირებულების გადასახდის - (დღგ-ს)გადამხდელი არ ხდება ავტომატურად, შემოსავლების სამსახურში გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის შედეგად. პირი დღგ-ს გადამხდელად შეიძლება დარეგისტრირდეს ნებაყოფლობით, ან სავალდებულო წესით:

- თუ იგი ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და მის მიერ ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100,000 ლარს;
- თუ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელი ერთჯერადი

ოპერაციის შედეგად ან ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ერთ დღეში განსახორციელებელი ოპერაციის თანხა აღემატება 100,000 ლარს, იგი ვალდებულია დარეგისტრირდეს დღგ-ს გადამხდელად. დღგ-ს გადამხდელად პირი ითვლება ამ ერთჯერადი ოპერაციის, ან ერთ დღეში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტიდან;

- თუ მეწარმე აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში,. იგი ვალდებულია დღგ-ს გადამხდელად დარეგისტრირდეს აქციზური საქონლის მიწოდებამდე;
- თუ მეწარმე ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქციზური საქონლის საქართველოში იმპორტი გათავისუფლებულია დღგ-ს გადახდისაგან, იგი ვალდებულია დღგ-ს გადამხდელად დარეგისტრირდეს საქართველოში აქციზური საქონლის მიწოდებამდე.

დღგ-ს განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი ბრუნვის 18 პროცენტს.

აქციზის გადასახადი

აქციზის გადასახადით იბეგრება მეწარმე პირი, რომელიც:

- აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში;
- ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში;
- ახორციელებს აქციზური საქონლის ექსპორტს;
- ახორციელებს ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდებას;
- ახორციელებს მობილურ, ან ფიქსირებულ ქსელში არარეზიდენტი ან რეზიდენტი პირისაგან მიღებული საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურებას.

აქციზის გადასახადით დასაბეგრი ობიექტების ჩამონათვალი და გადასახადის განაკვეთები დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

იმპორტის გადასახადი

იმპორტის გადასახადის გადამხდელია პირი, რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადააადგილებს საქონელს, გარდა ექსპორტისა.

იმპორტის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთისას საქონლის საბაჟო ღირებულება.

იმპორტის გადასახადით დასაბეგრი საქონლის დასახელებები და გადასახადის განაკვეთები დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

საქართველოს საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით შეიძლება გადაადგილდეს ნებისმიერი სახის საქონელი, რომლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა/საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალული არ არის. ფიზიკური პირის მიერ შემოტანილ საქონელზე ხდება ზეპირი დეკლარირება ან ივსება:

- გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია;
- ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია;

სატრანსპორტო საშუალებების შემოტანისას შსს-ს მომსახურების სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურებში ივსება ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაცია.

საბაჟო გამშვებ პუნქტში შესაძლებელია გაფორმდეს შემდეგი საქონლის იმპორტი:

- საჰაერო ტრანსპორტით ბარგით ან/და ხელბარგით შემოტანილი საქონელი, რომელიც გაცხადებულია გამოფრენის ადგილას შევსებულ იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში;
- პირის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვარზე (გარდა საბაჟო გამშვები პუნქტებისა: „სამთაწყარო“, „ახკერპი“, „გარდაბანი“ და „მტკვარი“) გადაადგილებული 10,000 ლარამდე ღირებულების საქონელი, რომელიც გაცხადებულია იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში;
- უცხოეთში ყოველ 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ საქართველოში მუდმივ საცხოვრებლად შემოსვლისას (რაც დასტურდება საქართველოს

იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი დოკუმენტით) საქონლის (გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალებისა) იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

- საბაჟო გამშვებ პუნქტ „ბათუმის პორტში“, ან საბაჟო გამშვებ პუნქტ „ფოთისა“ და „ყულევის“ პორტებში და „ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში“ კონტეინერით სატრანსპორტო საშუალებებთან ერთად შემოტანილი სხვა საქონელი.

საგადასახადო კოდექსით გათავისუფლებულ საქონელზე მეტი რაოდენობისა და ღირებულების ან/და ეკონომიკური დანიშნულებით შემოტანილი საქონლის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს:

- წინასწარ;
- საქონლის შემოტანისთანავე – საბაჟო გამშვებ პუნქტში;
- შემოტანის შემდგომ გაფორმების ადგილზე, ან დეკლარანტის მიერ შერჩეულ გაფორმების ეკონომიკურ ზონებში.

ქონების გადასახადი

ქონების გადასახადით იბეგრება ქონება – დასაბეგრი ქონება და მიწა.

ქონების გადასახადის გადამხდელია, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

საწარმო/ორგანიზაცია გადასახადს იხდის:

- მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხულ აქტივებზე;
- დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე;
- დაუმთავრებელ მშენებლობაზე;
- აგრეთვე, მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე.

საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების ღირებულების არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით.

ფიზიკური პირი ქონების გადასახადს იხდის შემდეგ ქონებაზე:

- საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (მათ შორის, დაუმთავრებელი მშენებლობა, შენობა-ნაგებობა, ან მათი ნაწილი), იახტები (კატარღებზე), შვეულმფრენები, თვითმფრინავები;
- ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე;
- მიწაზე ქონების გადასახადი, საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით:

  - ✓ საკუთრებაში არსებული მიწა;
  - ✓ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა, რომლითაც სარგებლობს, ან რომელსაც ფლობს;
  - ✓ მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებული, გარდაცვლილი პირის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიწის ნაკვეთით სარგებლობა ხორციელდება იჯარის, ქირავნობის, უზუფრუქტის, ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე.

ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით და განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

ა) 100,000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.05 პროცენტისა და არა უმეტეს 0.2 პროცენტისა;
ბ) 100,000 ლარის, ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.8 პროცენტისა და არა უმეტეს 1 პროცენტისა.

გაითვალისწინეთ!

ფიზიკური პირი ქონების გადასახადის გადამხდელია, თუ ამ პირის ოჯახის მიერ მიმდინარე კალენდარული წლის წინა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები აღემატებოდა 40,000 ლარს.

მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელია პირი, მიუხედავად მისი შემოსავლებისა, საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით:

ა) მის საკუთრებაში არსებულ მიწაზე;
ბ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწაზე, რომლითაც სარგებლობს, ან რომელსაც ფლობს იგი;
გ) მის მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებულ, გარდაცვლილი პირის სახელზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ტყის მიწებზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთები დიფერენცირებულია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და მიწის კატეგორიების მიხედვით და დგინდება 1 ჰექტარზე გაანგარიშებით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილია ქონების გადასახადისაგან გათავისუფლების, ან შეღავათიანი დაბეგვრის საკმაოდ ფართო შესაძლებლობები.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ შემოსავლების სამსახურის სერვის ცენტრებს, ან დარეკეთ შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო სატელეფონო ცენტრში (+995 32) 2 29 92 99;
ელ-ფოსტა: info@rs.ge; ვებ-გვერდი: www.rs.ge

შემოსავლების სამსახურის ტერიტორიული სერვის ცენტრების მისამართები და საკონტაქტო ინფორმაცია შეგიძლიათ ნახოთ საიტზე:
www.rs.ge/Default.aspx?sec_id=4497&lang=1

სახელმწიფო მხარდაჭერა სამეწარმეო საქმიანობისთვის: „აწარმოე საქართველოში“

საქართველოს მთავრობა დღეისათვის ახორციელებს მეწარმეობის მხარდაჭერის რამდენიმე პროგრამას. მათი მხარდაჭერა ძირითადად ხდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მეშვეობით. პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერას ახორციელებს ფინანსების ხელმისაწვდომობაზე დახმარებაში, მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობაში, ტრენინგებსა და კონსულტაციებში. პროგრამები ორიენტირებულია ახალი ბიზნესის წამოწყების მხარდაჭერაზე და არსებული ბიზნესის გაფართოება-გადაიარაღებაში დახმარებაზე.

ფინანსური მხარდაჭერა კომერციულ ბანკებთან მიმართებაში ხორციელდება ორი მიმართულებით; ესენია: მოძიებული კრედიტის და ლიზინგის თანადაფინანსება.

- კრედიტი:
  - ✓ ბანკის მიერ გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება, არაუმეტეს 10 პროცენტით, პირველი 24 თვის განმავლობაში;
  - ✓ ბანკის მიერ აშშ დოლარში გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება, არაუმეტეს 8 პროცენტით, პირველი 24 თვის განმავლობაში;უზრუნველყოფის თანადაფინანსება სესხის 50 პროცენტის მოცულობით, სესხის გაცემიდან 48 თვის განმავლობაში (არაუმეტეს 1,000,000 აშშ დოლარისა / 2,500,000 ლარისა).

- ლიზინგი:
  - ✓ ლიზინგის საგანზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება ხორციელდება 12 პროცენტით პირველი 24 თვის განმავლობაში;
  - ✓ სალიზინგო პროექტის საწყისი ღირებულება განისაზღვრება 50,000 აშშ დოლარით, ხოლო მაქსიმუმი 2,000,000 აშშ დოლარის ოდენობით.

ორივე შემთხვევაში პროგრამაში ჩართვის პირობებია:

- საბოლოო პროდუქტი უნდა შედიოდეს საქართველოს მთავრობის მიერ მოცემული პროგრამის ფარგლებში დამტკიცებულ პრიორიტეტთა ნუსხაში;
- სესხის მოცულობის არანაკლებ 80 პროცენტი უნდა მოხმარდეს ძირითადი საშუალებების შეძენას;
- ახალი საწარმოს გახსნის შემთხვევაში უნდა მოხდეს წარმოების დაწყება კრედიტის/ლიზინგის გაცემიდან 24 თვის განმავლობაში;
- არსებული საწარმოს შემთხვევაში წარმოების დაწყება უნდა მოხდეს კრედიტის/ლიზინგის გაცემიდან 12 თვის განმავლობაში;
- სესხის მინიმალური მოცულობა შეადგენს 150,000 აშშ დოლარს / 250,000 ლარს, ხოლო მაქსიმალური 2,000,000 აშშ დოლარს / 5,000,000 ლარი.

ფინანსური მხარდაჭერის ოდენობა

სესხის აშშ დოლარში გაცემის შემთხვევაში:

სესხის მოცულობა	საბანკო განაკვეთი	თანადაფინანსება
150,000 აშშ დოლარიდან 500,000 აშშ დოლარამდე	11%	8%
500,000 აშშ დოლარიდან 1,000,000 აშშ დოლარამდე	10%	8%
1,000,000 აშშ დოლარიდან 2,000,000 აშშ დოლარამდე	9%	8%

სესხის ლარში გაცემის შემთხვევაში:

სესხის მოცულობა	საბანკო განაკვეთი	თანადაფინანსება
1 500 000 ლარამდე	13%	10%
1 500 000 ლარიდან 3 000 000 ლარამდე	12%	10%
3 000 000 ლარიდან 5 000 000 ლარამდე	11%	10%

მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა

პროგრამა გულისხმობს საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობას ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გზით. პროგრამა ხორციელდება საქართველოს რეგიონებში. პროგრამა გამიზნულია:

- ახალი ბიზნესის წამოწყებისთვის;
- არსებული ბიზნესის გაფართოება-გადაიარაღებისთვის.

პროგრამაში ჩართვის პირობები

პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ პირს, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- არის სრულწლოვანი (18 წელს მიღწეული) საქართველოს მოქალაქე;
- არ არის საჯარო მოხელე;
- არ გააჩნია მიმდინარე ვადაგადაცილებული საგადასახადო ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე;
- კონკურსებში გამარჯვების შემთხვევაში, განახორციელებს მინიმუმ 20

პროცენტის თანხობრივ თანამონაწილეობას;

- აცხადებს მზაობას ბიზნესგეგმების კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, დარეგისტრირდეს გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირად, რომელსაც მინიჭებული აქვს გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა.

პროგრამის განხორციელების ეტაპები

დაფინანსების მიღებამდე მონაწილემ აუცილებელია გაიაროს რამდენიმე ეტაპი
:

- ონლაინ აპლიკაციის შევსება ვებ-გვერდზე: www.qartuli.ge/ბიზნესიდეების კონკურსი:

  ✓ მოხდება საუკეთესო ბიზნეს იდეების ავტორების გამოვლენა;

- ბიზნესგეგმის წერის ტრენინგი:

  ✓ საუკეთესო ბიზნესიდეების ავტორებს ჩაუტარდებათ ბიზნესგეგმის წერის ტრენინგი;

- ბიზნესგეგმების კონკურსი:

  ✓ მომზადებული ბიზნესგეგმების კონკურსის შედეგად გამოვლენილი გამარჯვებული მონაწილეები მიიღებენ პროგრამით გათვალისწინებულ თანადაფინანსებას.

დაფინანსების მექანიზმი

ერთი მეწარმე სუბიექტი	თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა	5 000 ლარი
ორი მეწარმე სუბიექტი	თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა	10 000 ლარი
სამი მეწარმე სუბიექტი	თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა	15 000 ლარი

საკონსულტაციო ტრენინგით მხარდაჭერის მექანიზმი

ყველა ბენეფიციარი მიიღებს თანამედროვე სტანდარტების ტექნიკურ მხარდაჭერას:

- ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები;
- ბიზნესგეგმების შედგენის ტრენინგი;
- ბიზნესის ადმინისტრირების ტრენინგი.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს სერვის ცენტრს.
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №18
ტელ: 2 99 10 44/ 2 99 11 28
ელ-ფოსტა: info@qartuli.ge
www.enterprisegeorgia.gov.ge

კრედიტი ბიზნეს განვითარებისთვის

საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები და მიკრო-საფინანსო ორგანიზაციები ბიზნესის დაწყება-განვითარების კრედიტებს გასცემენ თითქმის იდენტური სქემების მიხედვით. ბიზნესის დაწყებისთვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ბიზნესგეგმის ჩამოყალიბება. ეს დოკუმენტი უნდა იძლეოდეს ინფორმაციას:

- ბაზარზე და მითითებულ დარგში არსებულ ვითარებაზე;
- კომპანიის საქმიანობის მიმდინარეობაზე;
- საწარმოს მომავალი განვითარების გეგმაზე.

ამ ფორმით ბიზნესგეგმის მომზადების შემდეგ აუცილებელია საგარანტიო კრიტერიუმების დაკმაყოფილება. ამ შემთხვევაში შესაძლოა მოთხოვნილი იყოს:

- გირაო - ფასეული აქტივი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას ვალდებულების უზრუნველსაყოფად (მაგალითად: საცხოვრებელი

ფართი, შენობა-ნაგებობა, მიწის ნაკვეთი და სხვა);

- თავდები/გარანტი - ფიზიკური პირი, რომელიც ასრულებს თავდების როლს მეორე პირის ვალდებულებისთვის.

განსხვავებული მოთხოვნებია ბიზნესის განვითარებასთან მიმართებაში. ამ შემთხვევაში საჭიროა:

- საწარმოს მოგება-ზარალის უწყისი;
- გასული წლის მოგების დეკლარაცია;
- ბოლო ექვსი თვის ბრუნვითი უწყისი;
- გირაო - ფასეული აქტივი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ვალდებულების უზრუნველსაყოფად.

ყველა კრიტერიუმის დაკმაყოფლების შემდეგ, უკვე კონკრეტულ კომერციულ ბანკში თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში არსებული წესის მიხედვით გაიცემა კრედიტი. საპროცენტო განაკვეთი განსხვავებულია და ინდივიდუალურად განისაზღვრება. ასევე, ინდივიდუალურად განისაზღვრება გადახდის გრაფიკი და თითოეული შენატანის ოდენობა.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო: www.napr.gov.ge
საქართველოს ფინასნთა სამინიტროს შემოსავლების სამსახური: www.rs.ge
სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო: www.qartuli.ge
სსიპ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო: www.gita.gov.ge

„რეინტეგრაციის გზამკვლევი დაბრუნებული მიგრანტებისთვის“ პუბლიკაციაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გვინდა გადავუხადოთ:

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
- დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
- იუსტიციის სამინისტროს / სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს / მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიას
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურსოფლის მეურნეობის სამინისტროს

პუბლიკაციაზე მუშაობდნენ:

გიორგი გოგიშვილი
ქეთი აბულაშვილი
ზვიად დევდარიანი

www.cida.ge www.fb.me/cidacso